

რუსუდან ზეკალაშვილი

მცენარეთა სახელების აგებულებისა და სახელდების შესახებ ქართულ ენაში

(რუსულ და გერმანულ ენებთან შეპირისპირებით)

სახელდება (ანუ ნომინაცია) ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა არა მარტო ენათმეცნიერებაში, არამედ ფილოსოფიაშიც, რადგან უშუალოდ უკავშირდება ადამიანთა მსოფლადქმას. სახელდების პროცესში აისახება დამოკიდებულება მოცემული საგნისა თუ მოვლენისადმი და იქმნება „სამყაროს ენობრივი ხატი“, რომელიც საფუძვლად ედება ამა თუ იმ კულტურას და ასახავს მას.

სახელდებას სწავლობენ სამწევრა მიმართების საფუძველზე (ე.წ. „სემანტიკური სამკუთხედის“ მიხედვით): **რეალია – ცნება – სახელი** (ლელ, 1990:336). **რეალია** არის სახელის **დენოტატი**, ანუ **თვისებათა ერთობლიობა**, რომელიც გამოიყოფა სახელდებისას ამ სიტყვით აღნიშნულ ყველა ობიექტში; **ცნება** მოიცავს კატეგორიულ ნიშნებს და წარმოადგენს **სიგნიფიკატს**, რომელშიც შეიძლება შედიოდეს **ექსპრესიული** ნიშნებიც, **სახელი** კი გაიაზრება, როგორც ბგერათა რიგი, რომელიც ენობრივ შემეცნებაში ნაწევრდება კონკრეტული ენის ორგანიზაციის შესაბამისად (ლელ, 1990:336; იხ. ს. შუმბასოვა, 2011).

სახელდების ძირითადი საშუალებები უნივერსალურია ყველა ენისათვის: **სიტყვაწარმოება**, **თხზვა** (რთულ სიტყვათა წარმოება) და **მნიშვნელობის გადატანა**. ენის საშუალებით სინამდვილის ასახვა საფუძველია ნაწარმოები სიტყვის **მოტივირებულობის** შესასწავლად, მოტივაცია კი თვალსაჩინოდ გამოხატავს სიტყვის ძირითად აზრობრივ-შემეცნებითს დანიშნულებას.

ენათმეცნიერებისთვის ყოველთვის ფასეული იყო გარე სამყაროს ამსახველი ლექსიკური ერთეულების სახელდების საკითხები, უპირველეს ყოვლისა კი, **ფლორისა** და **ფაუნისა**, რადგან სამყაროს აღქმის დროს ადამიანს ყველაზე ადრე სწორედ მცენარეებსა და ცხოველებთან ჰქონდა შეხება. ამიტომაც ეს ლექსიკური ფენა ერთ-ერთი უძველესია და უაღრესად საინტერესო მასალას გვამღვეს ენათმეცნიე-

რული კვლევებისათვის (ეთნობოტ. 2010). მცენარეთა და ცხოველთა სახელწოდებები უშუალოდ უკავშირდება ტერმინთმცოდნეობის თეორიას, კერძოდ, სისტემატიზაციის საკითხებს.

მცენარეთა სახელებს სწავლობენ სხვადასხვა თვალსაზრისით: წარმომავლობის, **სიტყვაწარმოების**, **სემასიოლოგიური** და სხვ. მცენარეთა სახელდების საკითხები გამოკვლეულია სხვადასხვა ენასა (რუსულში, გერმანულში, ინგლისურში...) და კილოში, რაც უაღრესად საინტერესო მასალით ამდიდრებს ენათმეცნიერებას.

მცენარეთა სახელების შესახებ ქართველურ ენებში უნდა გამოვყოთ რამდენიმე საინტერესო ნაშრომი: ბ. ჯორბენაძემ ყურადღება მიაქცია ქართულ მცენარეთა სახელდების მრავალფეროვნებას, განიხილა მისი ძირითადი საშუალებები და მათი წარმომადგენლები საქართველოს კუთხეების მიხედვით (იხ. ბ. ჯორბენაძე, 1990; მისივე, 1997). ნ. ხოჭოლაგამ აღნიშნული საკითხი შეისწავლა ქართველურ ენებში და მდიდარი მასალის გაანალიზების საფუძველზე საყურადღებო დასკვნები გამოიტანა (ნ. ხოჭოლაგა, 2006)¹; მ. ივანიშვილმა აღადგინა მცენარეთა უძველესი ქართველური სახელები და ღრმად გააანალიზა მრავალ წყაროზე დაყრდნობით (მ. ივანიშვილი, 2014)². ლინგვისტიკის გარდა, მცენარეთა სახელდების საკითხებით დაინტერესებული არიან ბიოლოგებიც (ზ. მაყაშვილი, 1996; მ. მაყაშვილი, 2011)³.

ჩვენ შევჩერდებით ქართულ მცენარეთა (განსაკუთრებით – სამკურნალო მცენარეთა⁴) სახელების აგებულებისა და სახელდების

¹ აფხაზური ფიტონიმების სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი მოცემულია ნ. მაჭავარიანის ნაშრომში (ნ. მაჭავარიანი, 2004).

² მ. ივანიშვილის მონოგრაფიაში აღდგენილია მცენარეთა (ხეების, ბუჩქების, ბალახების, ასევე მარცვლეულისა და ბალჩეულის) სახელების არქტიპები ქართველური ენებისათვის: ძელი, ხე, მუხა, რკო; ნამვი, ფიჭვი, სოჭი, ბერყენა, ზზა, ზღმარტი, ივანი, ნეკერჩხალი, ურთხელი, ძმერხლი, წყავი; ბარძგი, ბურღველა, ბურა, კოწახური, მაყვალი, მოცხარი; მრავამარღვა, სვია, რეჰანი, სურო, შქერი, ძახველა; მდოგვი, ხადური, ბოლოკი, კვახი (იხ. მ. ივანიშვილი, 2014).

³ ფიტონიმებით დაინტერესებულ მკვლევრებს უდიდეს დახმარებას უწევს **აღ. მაყაშვილის** ბოტანიკურ ტერმინთა ლექსიკონი, რომელშიც თავმოყრილია მცენარეთა სახელები ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში (რუსული და ლათინური შესიტყვებებით) (ა.მაყაშვილი, 1961).

⁴ ძნელია, მოიძებნოს მცენარე, რომელსაც სამკურნალო დანიშნულებით არ იყენებენ. ესენია: ხეები და ბუჩქები (ფესვი, ქერქი, ნაყოფი, ყვავილი თუ ფოთოლი), ყვავილები, ბალახოვანი და წყლის მცენარეები, სარეველები, შხამიანი თუ კულტურული მცენარეები, სოკოები და სხვ.

ზოგიერთ საკითხზე რუსული და გერმანული ენების მონაცემებთან შეპირისპირებით: როგორია აგებულებით ეს ლექსიკური ფენა, სახელდების რა და რა საშუალებებს იყენებს ქართული ენა, რა მსგავსება და განსხვავება ვლინდება ამ თვალსაზრისით არამონათესავე ენებთან, რამდენადაა ასახული მცენარეთა სახელებში მათი სამკურნალო თვისებები.

მცენარეთა სახელდების საკითხები მჭიდროდაა დაკავშირებული ამ სიტყვების აგებულებასა და სიტყვაწარმოებასთან, რადგან მათი თვისებები ასეთ სახელებში ხშირად გამჭვირვალეა. მცენარეთა სახელების საწარმოებლად გამოყენებულია ქართული ენის თითქმის ყველა სიტყვაწარმოებითი საშუალება.

გამოიყოფა ერთ- და ორფუძიანი ფიტონიმები, პირველი კი, თავის მხრივ, შეიძლება იყოს: მარტივი, ნაწარმოები და რთული აგებულებისა.

სიტყვაწარმოებაში ჭარბობს -ა **ბოლოსართი**: აბრეშუმა, აზნაურა, ანგელოზა, ბოლოკა, ზღარბა (სოკო), ირემა (სოკო), კელაპტარა, კრაზანა, მეჭეჭა, მჭადა, შხამა (სოკო), ცხვარა, ძირა... ზედსართავ სახელებთან: ანჩხლა, შმაგა...

-ა ბოლოსართი სხვა ბოლოსართებთან ან თავსართ-ბოლოსართებთან ერთად დასტურდება:

-ურ(ლ)+ა: ბაყაყურა, ბოლოკურა, დეზურა, თალგამურა...არაბულა;

-უნ+ა: ბაბუნა;

-უკ+ა: ბალბალუკა;

-ელ+ა: ნარგიზელა...

-ოსან+ა: ბუმტოსანა;

-ი+ა: სათოვლია;

სა-ელ+ა: სანთელა...

-ა ხშირად დაერთვის კომპოზიტს, როგორც ტერმინთმწარმოებელი ბოლოსართი, რომელიც ორ (ან სამ) ფუძეს აკავშირებს. მაგალითად, აერთებს **ორ არსებით** სახელს: გველთავა, დევცეცხლა, ვარდკაჭაჭა, თავვისარა, თავცეცხლა, კატაბალახა, მიწავაშლა, ძალღნიორა, ძაღლყურძენა, ცერცვეკალა, ცეცხლეკალა...

-ა ბოლოსართი **შეთანხმებულმსაზღვრელიან** რთულ სიტყვაში: ბრტყელეკალა, დიდგულა, თეთრყვავილა, ორკბილა, ქერიფქლა, შავბალახა, შავწამალა...

შებრუნებული წყობით: გულყვითელა, ფრთათეთრა, ძირთეთრა, ძირტკბილა, ძირმწარა, თავშავა, თავწითელა, ფრთათეთრა, ყვავილწვრილა...

-ა სუფიქსიანი **მართულმსაზღვრელიანი** რთული სიტყვები: ასისთავა, ბატკნისყურა, ბებრისკონკა, გველისკოვზა, გუგულისკაბა, დევისპირა, ვირისტერფა, ირმისმხალა, ირმისტუჩა, კლდისდუმა, კურდღლისტუჩა, ქრისტესბეჭედა, ქრისტესთვალა, ქრისტესისხლა, ცისთვალა, ცხენისწაბლა, ცხვირისატეხელა, ჯორისძუა...

ზოგჯერ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოდნითი ნაწილი დაკარგულია (ბამბიქულა) ან ზმნურ ფუძესთან გამოყენებულია ბოლოსართი -ია (ე. წ. *ნაცარქექიას* ტიპის მიმდებარეობაში): ბუზიჭერია, ნამიკრეფია...

მართულმსაზღვრელიან რთულ სიტყვებში ხშირად მეორე ნაწილად გვხვდება სიტყვები -ძირა და -პირა: ბუჩქისძირა, ვაზისძირა, ნიგვზისძირა, ღობისძირა, ხარისძირა; პირა: არხისპირა, ბარისპირა...

სიტყვათმეხამებებში ხშირია **მართულმსაზღვრელიანი** შესიტყვება: ბალის მიხაკი, დათვის კენკრა, თევზის წამალი, ირმის რქა, ძაღლის ენა...

შედარებით იშვიათია **შეთანხმებულმსაზღვრელიანი** შესიტყვება: ყვავილოვანი კომბოსტო, თავხვეული კომბოსტო, მტირალა ტირიფი... გამონაკლისიაა მსაზღვრელები ნომენკლატურულ დასახელებებში (ჩვეულებრივი, სამკურნალო) ან წარმომავლობის აღმნიშვნელი სახელები (ამერიკული, ევროპული, კავკასიური, იაპონური): სამკურნალო გვირილა (ყასმინი, სალბი, ტუხტი, ძიძო...), ამერიკული ქაცვი (წიფელი, ნეკერჩხალი...), ევროპული აბრეშუმა (მაჟალო, პანტა, ყოჩივარდა...), აფრიკული ბამბის ბუჩქი (ფეტვი), კავკასიური რცხილა (სოჭი, სურო, მოცვი...), იაპონური ლამინარია (აუკუბა, ზღმარტლი, კამელია, პირშუმხა, ტუნგი, ჭანჭყატა) და სხვ.

პირველ ნაწილად გვხვდება **ფერის** აღმნიშვნელი სახელები: თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი, მწვანე... **თეთრი** შეიძლება იყოს: არყი, გოგრა, დარიჩინის ხე, დიყი, თავტუხი, ია, იფანი, მდოგვი, ნამიკრეფია, ნარგიზი, სამყურა, ფიჭვი, ხანჭკოლა, ხვალო;

შავი: არყი, ასკილი, გვიმრა, თავთუხი, კაკლის ხე, კუნელი, მდოგვი, მოცხარი, მურყანი, ნამვი, რცხილა, სანდალოზი, ღვია, ცერცველა...

წითელი: გვირილა, დიკა, თავთუხი, კუნელი, ლიმონი, მხალი, მოცვი, მოცხარი, სამყურა, ღიღილო, წალიკა, წივანა, ჯინჭარი, ჯინჭრის-დედა, ჯიჯლაყა...

ყვითელი: გვირილა, დუმფარა, იონჯა, ტუხტი, ღვინა, შროშანი, ცოცხი, ცხვირისატეხელა, ძიძო, ძურწა, ხანჭკოლა...

მწვანე: მარწყვი, რამი, ძურწა...

ცისფერი: ლოტოსი და სხვ.

რუსულში, გერმანულთან შედარებით, ჭარბობს მარტივფუძიანი (ნასესხები) და ნაწარმოები მცენარეთა სახელები. მაგალითად: - **вик, -ник** სუფიქსიანი: ежовик, ваточник, икотник, лабазник, лазурник, желтушник, подснежник, подорожник, пажитник, василистник, раakitник, одуванчик; გვხვდება რთული სიტყვებიც: страстоцвет, первоцвет, тысячелистник, ежеголовник, зверобой; ორკომპონენტური სინტაგმები: шёлковая акация, пальмовая лилия, гадючий лук, дамское пальто, женский ботинок.

გერმანულში აშკარაა მოტივირებულ რთულ სიტყვათა სიუხვე. რთული სიტყვების მეორე ნაწილად გავრცელებულია: **Kraut** (მცენარე, ბალახი): Bohnenkraut, Franzosenkraut, Froschkraut, Pfefferkraut, Pfennigkraut, Jakobskreuzkraut, Johanniskraut, Mutterkraut; **Gras** (ბალახი): Knaulgras, Tigergras; **Wurzel** (ფესვი): Drachenwurz, Engelwurz, Korallenwurz, Schwalbenwurz, Sommerwurz; **Blume** (ყვავილი): Kuckucksblume, Liebesblume, Mondblume, Passionsblume, Ringelblume, Schattenblume, Schildsblume, Schleifenblume.

მცენარეთა სახელდება ხელს უწყობს მათს სისტემატიზაციასა და კლასიფიკაციას, რადგან სახელი მსგავს საგანთა შორის გამოყოფს ამ მცენარეს ერთ-ერთი ნიშნის მიხედვით. სახელდების ნიშანი სხვადასხვა ენაზე (ზოგჯერ კილოზე) განსხვავებულია და ამით ვლინდება სხვაობა ეთნიკურ და შემეცნებითს პროცესებში.

მცენარეთა ქართული სახელების შედარებისას არამონათესავე ენების (მაგ., რუსულისა და გერმანულის) ერთეულებთან თვალში საცემია, რომ ერთი და იმავე მცენარის სახელდებისთვის სხვადასხვა ენაში განსხვავებული საშუალებები გამოიყენება, თუმცა სახელდების ზოგადი პრინციპები საერთოა.

ჩვენთვის საინტერესოა, რა უდევს საფუძვლად მცენარეთა მოტივირებული სახელების სახელდებას: გარეგნული ნიშნები (მცენარის ფერი, ფორმა, ზომა, გავრცელების ადგილი), ფიზიკური ან გრძნობად-შეფასებითი მომენტი (გემო, შედგენილობა, რამესთან

მსგავსება თუ სხვა თვისებები), რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენა თუ მცენარის ამა თუ იმ ნიშნის მეტაფორული გააზრება¹.

ძნელია, გამოიყოს სახელდების ერთი ან ორი მთავარი პრინციპი მცენარეთა ქართულ სახელებში, რადგან საშუალებები მრავალფეროვანია. განვიხილავთ მცენარეთა ქართული სახელების მაწარმოებლებს რუსულსა და გერმანულთან შეპირისპირებით.

ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ამა თუ იმ მცენარის სახელდების პრინციპი განსხვავებულია არა მარტო სხვადასხვა ენაში, არამედ ერთი ენის ფარგლებშიც – კილოებში. მაგალითად, ქართულ დიალექტებში **შმაგას** სახელებია: გიჟანა, ცოფის ბალახი, დევსურა, დევცეცხლა, ბანგა, კიტრანა, კიტრანა, ნეხვბალახა, ტყლაშუნა, ლენცოფა, პატპატა, ასტმოლე, გოდორა, ბურძგლა-ბალახი, ხოკანა, ხოკის ბალახი, ღორიხოკა, კომბარა, ჯამუშა. ამათგან ზოგი ხაზს უსვამს მცენარის ზემოქმედების ძალას (შმაგა, გიჟანა, ცოფის ბალახი), ნაწილი ირიბად მიანიშნებს მის არაამქვეყნიურ სიძლიერეზე (დევსურა, დევცეცხლა) ან ახასიათებს რომელიმე ფიზიკური ნიშნის მიხედვით (კიტრანა, ტყლაშუნა, ბურძგლა ბალახი, ხოკანა...). მ. მაცაშვილის აზრით, ამ მცენარეს რამდენიმე სახელი დარქმევია „ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებების შემცველობის მიხედვით („ლენცოფა“, „გიჟანა“, „შმაგა“). ბოლო მაგალითი იმითაც არის საინტერესო, რომ სახელდება მიგვითითებს იმ შესაძლო შედეგზე, რომელიც მოჰყვება ამ მცენარის საკვებად გამოყენებას (გაშმაგება, გაგიჟება)“ (იხ. მ. მაცაშვილი, 2011).

არანაკლებ საინტერესოა ზოგიერთი მცენარის სინონიმური სახელები გერმანულ ან რუსულ ენებში. მაგალითად, გერმანულად **კრაზანას** (თავეცეცხლას) ჰქვია Johanniskraut (სიტყვასიტყვით: იოანეს ბალახი², პირველი ასოებით აღვნიშნავთ მცენარეთა სახელებს ლათინურად, რუსულად და გერმანულად): ლ. Hypericum perforatum, რ. звериный), მისი სინონიმებია: Blutkraut (სისხლის ბალახი), Feldhopfenkraut (მინდვრის სვიის ბალახი), Jesuwundenkraut (იესოს ჭრილობის ბალახი), Konradskraut (კონრადის ბალახი), Wundkraut (ჭრილობის ბალახი), Walpurgiskraut (ვალპურგის ბალახი), Hexenkraut (კუდიანების ბალახი), Kreuzkraut (ჯვრის ბალახი), Frauenkraut (ქალე-

¹ სახელდების პრინციპის აღსანიშნავად იყენებენ ტერმინ „მოტივემასაც“ (ს. შუმბასოვა, 2011).

² ფრჩხილებში ვუთითებთ სიტყვასიტყვით თარგმანსაც.

ბის ბალახი), Herrgottsblut (უფლის სისხლი), Gartheil (ბადის მკურნა-ლი), Jageteufel (განდევნე ეშმაკი), Johannisblut (იოანეს სისხლი), Johan-niswurz (იოანეს ფესვი), Mannskraft (მამაკაცის ძალა), Sonnenwendkraut (მზის მობრუნების ბალახი)... ამ სახელთა ნაწილი მცენარის სამკურ-ნალო თვისებას აღნიშნავს ან რაღაც ღვთიურ, ზებუნებრივ ძალაზე მიანიშნებს.

კრაზანას რუსული სახელია **зверобой**, რომელსაც ასევე მრავალი სინონიმი აქვს: заячья кровь, здоровая трава, ивановская трава, уразная трава, уразница, святоянское зелье, здоровая трава, желтоголовник, медвежье ухо, вербишник, коровник, коровяк, царский скипетр, цар-ская свеча, лучинник და სხვ. რუსული ხალხური წარმოდგენის თა-ნახმად, კრაზანა (зверобой) მიიჩნეოდა ერთ-ერთ მცენარედ, რომელიც წარმოიშვა სისხლისგან, ფრთისაგან ან ფრინველისგან, რომელმაც ცი-ური ცეცხლი ჩამოიტანა მიწაზე და ჭრილობის დამამებელი სამკურ-ნალო თვისება ჰქონდა. მოგვიანებით მას მიაწერეს უწმინდური ძა-ლის განდევნის უნარიც (ბროკჰაუზი, ევფრონი, 2012).

მცენარეთა სახელებზე დაკვირვება ადასტურებს, რომ სახელ-დებისათვის ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებში სხვადასხვა სა-შუალება გამოიყენება (გარკვეული მსგავსება შეიძლება შეინიშნოს დიალექტურ სინონიმებში), მაგრამ სახელდების ზოგადი პრინციპები საერთოა.

მცენარეთა სახელების ნაწილი სამივე ენაში ნომენკლატურული **ლათინური** სახელწოდებაა, ზოგჯერ – მისი ან რუსული სიტყვის ზუსტი თარგმანი, ან სხვა ენიდან ნასესხები სახელწოდება: აგავა, ადონისი (იგივე ცხვირისატეხელა), ავოკადო, ალოე, ამარილისი, ანო-ნა, არაუკარია, არნიკა, ასპიდისტრა, აქტინიდია, ბეგონია, ბელადონა, ბრიოფილუმი, ბეგონია, გლიცინია, ოპუნცია (იგივე დედინაცვლის ენა), ვალერიანა (ანუ კატაბალახა) და ა.შ.

მაგ., ლათინურის გავლენით შექმნილი მცენარეთა სახელებია:

ქართული	ლათინური	რუსული	გერმანული
ანგელოზა	Angelica officinalis	дудник лекарственный	Engelwurz
გველის ენა	Ophioglossum vulgatum	Ужовник	Natterzunge

გუგულის ყვავილი	Coronaria flos cuculi	кукушкин цвет	Kuckucksblume
დათვის- თხილა	Corylus iberica	медвежий орех	Baumhasel
ოქროწვიმა	Laburnum anagyroides	золотой дождь	Goldregen
ძაღლის ენა	Cynoglossum	собачник, чернокорень	Hundszunge

მცენარეთა მსგავსი სახელწოდებები ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებში (ან ორ ენაში მაინც):

ქართული	რუსული	გერმანული
ასისტავა	Золототысячник	Tausendgüldenkraut
დათვის კენკრა	толокнянка, мучница, медвежье ушко	Bärentraube
ენძელა	Подснежник	Schneeglöckchen
კურდღლისტუჩა	зайцегуб опьяняющий	Hasenlippengras
მზესუმზირა	Подсолнух	Sonnenblume
მიწავაშლა	земляная груша, картофелина	Erdapfel
მოცხარი	Черника	Schwarzbeere
მრავალმარღვა ¹	Подорожник	Wegerich
ორკბილა	Череда	Zweizahn
სამყურა	Трилистник	Dreiblatt

¹ მრავალმარღვას (ლ. Plantago, რ. подорожник, попутник, გ. Wegerich) ამერიკაში ეძახიან 'Snake Weed'-ს (გველის სარეველა), რადგან ხალხს სჯერა, რომ იგი კურნავს შხამიან ნაკბენს. აგონიაში მყოფ ძაღლს ჩხრიალა გველის ნაკბენზე წაუსვებს მრავალმარღვასა და მარილის შემცველი ხსნარი, რამაც ის გადაარჩინა (ამის შესახებ იხ. ნ. ირიცკუხოვა, 2013).

უკადრისა	Недотрога	Rührmichnichtan
უკვდავა	Бессмертник	Ewigkeitsblume
ძაღლის ენა	чернокорень, собачник	Hundszunge

მცენარეთა სახელების ნაწილი ზოგჯერ ერთმანეთთან მსგავსებას მხოლოდ რუსულსა და გერმანულში ამჟღავნებს, ქართული სახელი კი განსხვავებულია: დანძილი – ლ. *Allium ursinum*, რ. лук медвежий, чеснок медвежий, черемша, გ. *Bärenlauch*; ბუსუსტანა – ლ. *Antennaria dioica*, რ. кошачьи лапки, გ. *Katzenpfötchen*; დევისპირა – ლ. *Antirrhinum maius*, რ. львиный зев, გ. *Löwenmaul* და სხვ.

სახელების რომელიმე საშუალების არჩევა დამოკიდებულია სახელმძღვანელოზე: სად ცხოვრობს, რა გამოცდილება აქვს, რამდენად სასარგებლოა მცენარე მისთვის, რა მსგავსებას ხედავს ბუნების სხვა არსებასა თუ მოვლენასთან. გარკვეული მნიშვნელობა აქვს ტრადიციებს, რწმენასა და მითოლოგიურ წარმოდგენებს. ამის მიხედვით ზოგჯერ სახელებისას ირჩევენ ღმერთის, ღვთისმშობლის, წმინდანებისა (ქრისტესისხლა, ქრისტეს ცრემლები, ქრისტეს ბალახი, უფლის ხე, მარიამსაკმელა) და უწმინდური ძალების სახელებსაც (ემშაკის ქოში, ეშმაკის სარკე, ეშმაკის ფეხი, ეშმაკის ბურნუთი...); შდრ. რუსული: авраамово дерево (აბრაამის ხე), иван-чай, бенедикт... გერმანული: Rapunzel (ზღაპრის პერსონაჟი გოგონა), Adamsnadel (ადამის ნემსი), Mariendistel (მარიას მცენარე), Osterglocke (აღდგომის ზარი), Engelwurz (ანგელოზის ფესვი), Passionsblume (ვნების ყვავილი), Benediktenkraut (ბენედიქტის ბალახი), Drachenwurz (დრაკონის ფესვი), Zaubernuss (ჯადოსნური კაკალი), Teufelskralle (ემშაკის ბრჭყალი), Mönchspfeffer (ბერის წიწკა)...

მცენარეთა სახელწოდებების სიმდიდრე ადასტურებს ადამიანის მხატვრული აზროვნებისა და ასოციაციური კავშირების დანახვის უნარს, აღქმის მრავალფეროვნებას, ხშირად გადამწყვეტია არაენობრივი ფაქტორები. მაგალითად, **ვირისტერფას** ლათინური სახელწოდებაა *Tussilago farfara*, რუს. – мать и мачеха, ინგლ. – coltsfoot, foalfoot და son-before-father, გერმ. – Huflattich. რუსული დასახელება კი ითვალისწინებს სხვა ნიშანს: ფოთლის ზედა და ქვედა ზედაპირები შეხებით ერთმანეთისაგან განსხვავებულია: ქვედა „თბილია“ (რბილი და ხვედროვანი), ზედა კი – „ცივი“ (პრილა), ამიტომაც დაარქვეს **МАТЬ И**

мачеха (დედა და დედინაცვალი) (იხ. ს. შუმბასოვა, 2011:111), ქართულ და გერმანულ სახელებსა და სხვა ინგლისურ სინონიმებში კი მცენარის ფორმაა გადამწყვეტი: მსგავსება ცხენის/ვირის ტერფთან (ან ფეხთან). ერთ-ერთ ინგლისურ სინონიმს **son-before-father** (სიტყვასიტყვით: ვაჟი მამაზე ადრე) შემდეგნაირად ხსნიან: როგორც კი თოვლი გადნება, ეს მცენარე აყვავდება (ესაა „ვაჟიშვილი“), გაცილებით გვიან კი ის იფოთლება (ესაა „მამა“).

მცენარეთა სახელწოდებების წარმოების საშუალებათა კლასიფიკაციისთვის გამოვიყენეთ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულებები (სერებრენიკოვი, 1977). ერთ-ერთის თანახმად, სახელდების ნაირსახეობებს გამოყოფენ ორი პრინციპით:

ა) **საკუთრივ ობიექტური** ნიშნების მიხედვით: მორფოლოგიური (შეფერილობა, ფორმა, ზომა, სტრუქტურა, საფარი, საერთო გარეგნული სახე, სუნი, გემო) ან ქიმიური თვისება (სუნი, გემო და სხვ.);

2) **რელატიური ობიექტური** ნიშნების მიხედვით: მიმართება ობიექტებს შორის (გავრცელების ადგილი, აქტიურობის დრო, ნომენკლატურული ნიშნები), მიმართება ობიექტსა და ადამიანს შორის (პრაგმატული ნიშნები: სარგებლობა, შინაგანი და გარეგანი ზემოქმედება შეხებისას), ცოცხალ არსებაზე ზემოქმედება და სხვ. (ს. შუმბასოვა, 2011:104-114).

სხვადასხვა კლასიფიკაციის შეჯერების შედეგად მცენარეთა სახელდების – საშუალებათა ხუთი ჯგუფი გამოიყოფა ქართულში:

I. მცენარის **გავრცელების ადგილის** მიხედვით;

II. **გარეგნული ნიშნების** მიხედვით (ფერი, ფორმა, რამესთან მსგავსება);

III. რაიმე ნიშნით **ფრინველებთან, ცხოველებთან ან მწერებთან** ასოციაციური კავშირის მიხედვით;

IV. **შინაგანი თვისებების** მიხედვით (გემო, ზემოქმედების უნარი, სამკურნალო თვისებები);

V. **მეტაფორული მსგავსების** მიხედვით.

I. **სახელდება მცენარის გავრცელების ადგილის** მიხედვით (ამ სახის სახელებში ყველაზე ხშირად ემთხვევა მცენარეთა რუსული, გერმანული და ქართული სახელწოდებები, რადგან დიდი ნაწილია ნომენკლატურული დასახელება): არხისპირა, ბარისპირა, ბაღის პიტნა, ბაღის მიხაკი, ბაღის სალბი, ბაღის სატაცური, ბაღის ქრისტესთვალა, ბოსტნის ია, ბოსტნის ცოცხი, მინდვრის ზამბახი, მინდვრის

მდოგვი, მინდვრის ირაგა, მინდვრის ნეკერჩხალი, მინდვრის შვიტა, მთის ჩადუნა, მთის მოცხარი, მთის სამყურა, წყლის ბაია, წყლის ვარსკვლავა, წყლის იელი, წყლის პიტნა, ზღვის სალათა, ზღვის ხახვი...

მცენარეთა ერთგვარი სახელები:

ქართული	რუსული	გერმანული
მინდვრის გვირილა	ромашка полевая	Ackerkamille
მინდვრის ბოლოკი	редька полевая	Ackerrettich
ბოსტნის ბოლოკი	редис огородный	Gartenrettich
ალპური ია, ყოჩივარდა	альпийская фиалка, дряква	Alpenveilchen
ზღვის მდოგვი	морская горчица	Meersenf

II. მცენარის გარეგნული ნიშნების მიხედვით:

ა) ფერი:

ქართული	ლათინური	რუსული	გერმანული
თეთრყვავილა	Galanthus	Подснежник	Schneeglöckchen
ძირთეთრა	Pastinaca sativa	Пастернак	Pastinak
თავშავა	Origanum vulgare	душица, душианка	Dost
შავბალახა	Leonurus	Пустырник	Herzgespann
ხეშვი	Rhamnus cathartica	крушина слабительная	Kreutzdorn
თავყვითელა	Senecio	Крестовник	Kreuzkraut
გულყვითელა	Calendula officinalis	Ноготки	Goldblume
თავსისხლა	Sanguisorba	Кровохлебка	Wiesenknopf

ხეჭრელი	Frangula alnus	крушина ломкая	Faulbaum
ძირწითელა	Echium rubrum Jacq	красный румянка	Rotwutzel

ბ) ფორმა (ან სხვა გარეგნული ნიშანი):

ქართული	ლათინური	რუსული	გერმანული
აბრეშუმა	Cuscuta	Повилика	Hexenzwirn
ბურბუშელა (ბაბუაწვერა)	Taraxacum	одуванчик	Kettenblume
ორკბილა	Bidens tripartita	Череда	Zweizahn
კელაპტარა	Orobanche	Заразиха	Sommerwurz
მარჯნისძირა	Corallorhiza trifida Chatel	Ладьян	Korallenwurz)
მრავალძარღვა	Plantago major	подорожник, попутник	Wegerich
სამყურა	Trifolium	რ. клевер, трилистник, дятлина	Dreiblatt, Klee
ტყისცოცხა			
პირიმზე, ჩი- ბუხა	Phelypaea coccinea	фелипея красная, волчек красный	
ცოცხმაგარა	Lythrum vulgatum	дербенник, прибрежник, плакун-трава	Weiderich
ცხვირისატე- ხელა	Adonis aestivalis	Горицвет	Kuckucksblume

მ. მაყაშვილმა ყურადღება მიაქცია მცენარე **ლაშქარას** (ლ. Symphytum caucasicum M. B., რ. окопник кавказский, გ. Beinwell), რო-

მელსაც კახურ კილოზე „ქალბატონებს“ უწოდებენ. მისი აზრით, ამ მცენარის სახელდებაში არსებითია ყვავილის რაოდენობა, **კელაპტარას** (ლ. Orobanche, რ. заразиха, გ. Sommerwurz) შემთხვევაში კი მეცნიერი მართებულად მიიჩნევს კომპლექსურ სახელდებას, რადგან „მცენარე არა მარტო წააგავს ფორმით კელაპტარს, არამედ ყვავილების ფერით ცეცხლს მოგვაგონებს და მთლიანობაში ანთებული კელაპტარის შთაბეჭდილებას ტოვებს“ (მ. მაყაშვილი, 2011).

III. ფრინველებთან, ცხოველებთან ან მწერებთან რაღაც ნიშნით დაკავშირება (ასოციაციური მიმსგავსების საფუძველზე). მცენარეთა როგორც ქართული, ისე რუსული და გერმანული სახელების ფუძეში გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ცოცხალ არსებათა სახელები: მწერები (ფუტკარი), ამფიბიები და ქვეწარმავლები (ბაყაყი, გველი), შინაური და გარეული ფრინველები (ქათამი, გუგული, კაჭკაჭი), შინაური და გარეული ცხოველები (ძაღვი, კატა, თხა, ცხენი, ხარი, ვირი, დათვი, მელა, კურდღელი...).

ა) მწერები:

ქართული	ლათინური	რუსული	გერმანული
კრაზანა ¹	Galeopsis ladanum	пикульник, жабрей, зябра	Hohlzahn
დედაფუტკარა	Stachys	Чистец	Ziest

ბ) ამფიბიები და ქვეწარმავლები:

ქართული	ლათინური	რუსული	გერმანული
ბაყაყურა	Silybum marianum	расторопша, остро- пестро-трава, лягушечник	Mariendistel
გველთავა	Dracocephalum moldavicum L.	Змееголовник	Drachenkopf

¹ ჩვენთვის ამოსავალია მცენარეთა ქართული სახელები, რომელთა ნაწილის სახელების პრინციპი ზოგჯერ ემსგავსება რუსულ ან გერმანულ შესატყვისებს.

გველის- კოვზა	Cynanchum funebre	ластовень погребальный
------------------	----------------------	---------------------------

გ) შინაური და გარეული ფრინველები:

ქართული	ლათინური	რუსული	გერმანული
ნაცარქათამა	Chenopodium album	Марь	weiße Gänsefuß
გუგულის ყვავილი	Coronaria flos cuculi	кукушкин цвет	Kuckucksblume
გუგულის კაბა	Orchis amblyoloba Nevski	ятрышник туполопастный	Kuckucksblume, Knabenkraut, Ragwurz

დ) შინაური და გარეული ცხოველები:

ქართული	ლათინური	რუსული	გერმანული
კატაბალახა	Valeriana officinalis	валериана лекарственная, грудовка, мяун	Katzenkraut
კატაპიტნა	Nepeta cataria	котовник, кошачья мята	Katzenminze
ძაღლის ენა	Cynoglossum officinale	чернокорень, собачник	Hundszunge
ძალყურძენა	Solanum nigrum	паслён дикий	Nachtschatten
ვირისტერვა	Tussilago farfara	мать-и-мачеха	Huflattich
ცხენისკუდა	Erigeron canadensis	Мелколепестник	Berufskraut
ცხენისწაბლა	Aesculus hippocastanum	конский каштан	Roßkastanien
ხარისვარდა	Salvia sclarea	шалфей мускатный	Muskatellersalbei

ხარისმუბლა	Senecio platyphyllus	крестовник широколистный	Geißraute
დათვისთხილა	Corylus iberica Wittm	медвежий орех	türkische Baumhasel
დათვის ხახვი	Allium ursinum	лук медвежий	Bärenlauch
კურდღლის- ტუჩა	Lagochilus inebrians	зайцегуб опьяняющий	Hasenmäuler
ძაღლის ია	Viola canina	фиалка собачья	Hundsveilchen

დავასახელებთ მცენარეთა იმავე გზით მიღებულ რუსულ და გერმანულ სახელებს: собачья рожа (ფოხვერა), кошачьи лапки (ბუსუს-ტანა)... лъвинный зев, Löwenmaul (დევისპირა); Löwenzahn (ბურბუმე-ლა); Tigergras (აზიური ცენტელა); Affenbrotbaum (ბაობაბი); Bärenklau (დეი); Bärenohr (ფურისულა); Entenschnabel (ხახვთესლა); Hasenbrot (ლაშქარა); Hundrose (ასკილი); Kuhshelle (ბაბუაწვერა); Ochsenpinsel (სათოვლია); Schlangenwurz (კულმუხო); Wolfsmilch (რძიანა) და სხვ.

საინტერესოა ყოჩივარდას (ლ. *Cyclamen ibericum* Stev., რ. дряква весенняя, дряква грузинская, цикламен грузинский, გ. Alpenveilchen) სახელდების ახსნა მ. მაყაშვილის მიერ. მეცნიერი აღნიშნავს, რომ ეს მცენარე ერთ-ერთი პირველი ამოდის ადრეულ გაზაფხულზე (ზოგჯერ თებერვალშიც კი ამოყოფს თავს თოვლიდან) და იწყებს ყვავილობას, „თითქოს ისევე მოუძღვის წინ გაზაფხულის ყვავილებს, როგორც – ყოჩი ფარას“ (მ. მაყაშვილი, 2011).

IV. მცენარის ფიზიკური თვისებების მიხედვით (გემო, ზემოქმედების უნარი, სამკურნალო თვისებები და სხვ.).

ა) გემო:

ქართული	ლათინური	რუსული	გერმანული
ბალამწარა	Cerasus silvestris	черешня дикая	Vogelkirsche
პირშუმხა	Armoracia lapathifolia	Хрен	Meerrettich
ძირმწარა	Aristolochia iberica	кирказон грузинский	Osterluzei

მჟაუნა	Rumex acetosa	щавель кислый	Sauerampfer
მირტკბილა	Glycyrrhiza glabra	солодка, лакрица	Lakritze, Süßholz

ბ) მცენარის **სამკურნალო** თვისება ან **ზემოქმედების უნარი** შედარებით იშვიათად ჩანს ქართულ სახელდებაში¹. ცნობილია, რომ ქართული ხალხური მედიცინა ბევრ მცენარეს იყენებდა სამკურნალო დანიშნულებით, მაგრამ სახელდებაში ეს ნიშანი იშვიათად აღინიშნება. ეს უფრო შეინიშნება დიალექტურ სინონიმებში, განსაკუთრებით – აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებსა და აჭარულში, ზოგჯერ – მეგრულში:

ქართული	ლათინური	რუსული	გერმანული
ბუერა	Petasites Mill	белокопытник гибридный	Neunkraftbaum, Neunkraftwurzel
გველისკოვ- ზა ²	Cynanchum L.	цинанхум, ластовень погребальный	Hundswürger, Schwalbenwurz
დათვის კანაფი ³	Datisca cannabina	конопляник критский	
ვარდკანაფა ⁴	Eupatorium cannabinum	посконник, седаш	Wasserdost
კრაზანა, ანუ თავცეცხლა	Galeopsis ladanum	пикульник, жабрей, зябра	Hohlzahn
ლემა ⁵	Datura stramonium	Дурман	Dörnappel, Stechappel

¹ დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მცენარის სამკურნალო თვისებები ქართულ, გერმანულ ან რუსულ ენებშიც იშვიათადაა ასახული (რუსული ენის შესახებ იხ. ე. კუზნეცოვა, 2009).

² ლეჩხუმურში მისი სახელია *გელის წამალი*.

³ *აჭარულში ჰქვია საყვითლე ბალახი და სიყვითლის წამალი*.

⁴ მეგრულში – *ჭითაქარიში წამალი*.

⁵ მეგრულში – *ჩხოლში ჭირიში წამალი* (ძროხის ჭირის წამალი) და *ყვაპუში წამალი* (ყელის სიმსივნის წამალი).

ლენცოვა ¹	Hyoscyamus niger	белена черная, блекота	Bilzenkraut
მაჟარა ²	Thalictrum minus	василистник малый, вередовец	Wielandskraut, Wiesenraute
მეჭექა ³	Dichrocephala bicolor	Двухцветноголовник	
მრგვალი წა- მალი	Leontice smirnowii	леонтица Смирнова	Löwenblatt
მსუქანა ⁴	Sedum stoloniferum	очиток побегоносный	Fetthenne, Mauerpfeffer
სამატლე ⁵	Thalictrum foetidum	василистник вонючий	Wiesenraute
უკვდავა	Helichrysum	цмин, бессмертник иммортель	Strohblumen, Immortelle
უჟმურა ⁶	Geranium robertianum	герань Роберта, липовая трава	Storchenschnabel kraut, Ruprechtskraut
ყოჩივარდა ქართული ⁷	Cyclamen vernum	дряква весенняя, дряква грузинская, цикламен весенний	Alpenveilchen, Zyklamen
შავწამალა ⁸	Scrophularia nodosa	норичник узловатый	Braunwurz, Skroffelkraut
შავთარა ¹	Fumaria	Дымянка	Erdrauch

¹ მეგრულში – წირკეშ წამალი.

² მთიულურში – გველის წამალი, მოხეურში – ციების წამალი.

³ იმერულში – მეჭექის წამალი.

⁴ მთიულურში უწოდებენ ხველის წამალსა და დაჭრილის წამალს, იმერულსა და გურულში – უკვდავა ფხალს.

⁵ წამალი ზოგჯერ რომელიმე მავნებლის საწინააღმდეგო საშუალებასაც ჰქვია.

⁶ აჭარულში – უჟმურის ბალახი.

⁷ ზემოაჭარულში – ყიყვის წამალი.

⁸ კახურში – ნაწყენის ბალახი.

შმაგა	Atropa belladonna	белладонна, красавка	Tollkirsche, Belladonna
ჩიტიწვივა ²	Epimedium	горянка, клобук	
ცხვარა ³	Centaurea fischeri Willd	василёк Фишера	Kornblume
წითელი გვი- რილა ⁴	Pyrethrum roseum	ромашка розовая	persische Kamille
ხაშხაში	Papaver somniferum	мак снотворный	Schlafmohn

V. მეტაფორული მსგავსების მიხედვით:

ქართული	ლათინური	რუსული	გერმანული
ბაბუაწვერა	Taraxacum	одуванчик, подойник	Hundeblume
დევისპირა	Antirrhinum maius	львиный зев	Löwenmaul
იაჟუჟუნა, სამფერა ია	Viola tricolor	фиалка трёхцветная, анютины глазки	Stiefmütterchen, Dreifaltigkeitsblume
კესანე	Myosotis	незабудка	Vergißmeinnicht
მარჯნისძირა	Corallorhiza Hall.	Ладьян	Korallenwurz
ოქროწვიმა	Laburnum Medic	золотой дождь	Goldregen
ცისთვალა	Scilla	пролеска голубая	Meerzwiebel
მტირალა ტი- რიფი	Salix babylonica L.	ива плакучая	Trauerweide
უკადრისა	Impatiens nolitangere	недотрога, прыгун, не тронь меня	Rührmichnichtan

¹ ქართულში – დაჭრილის წამალი.

² აჭარულში – წამალდიდი.

³ ქართულში – დაჭრილის წამალი, მთიულურში – მოჭრილის წამალი.

⁴ ქვემოქართულში – რწყილის წამალი.

უჟმურა	Geranium	герань Роберта	Rosenstorchschnabel
უსურვაზი	Vitis silvestris	дикий виноград	Jungfernwein
ცხვირისატე- ხელა	Adonis aestivalis	кукушкин цвет	Storchschnabel

მეტაფორულია **ოპუნციას** (ლ. Opuntia, რ., опунция, გ. Kaktus-feige, Opuntie) ქართული სახელები: „დედინაცვლის ენა“, „ძაღლის ყბა“. როგორც ფიქრობენ, სახელდება მცენარის ეკლიანობასთან უნდა იყოს დაკავშირებული (მაყაშვილი, 2011).

ზოგჯერ სახელდებაში აირეკლება რელიგიური ან მითოლოგიური წარმოდგენები და ტრადიციები. ასეთი სახელებია:

ქართული	ლათინური	რუსული	გერმანული
ანგელოზა ¹	Gleditschia	гледичия	Gleditschie
მარიამსაკ- მელა	Peganum harmala	гармала, дикая рута, бибика, могильник	Harmelkraut
უფლის ხე ²	Buxus colchica Pojark	самшит колхидский, кавказская пальма	Buchsbaum
ქრისტესის- ხლა, საყვითლო	Sideritis montana	железница горная	Gliedkraut
მირონის ხე, ხეთუფალა ³	Cupressus sempervirens	кипарис пирамидальный	Mittelmeerzypresse
ცახცახა ⁴	Briza	трясунка, клопики	Zittergras, Liebesgras

ზოგიერთი მცენარის მეტაფორული სახელი თარგმნილია:

¹ დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში აღნიშნულია „ქრისტეს გვირგვინა“.

² ქართლურ დიალექტზე ჰქვია ბზას.

³ ქართლურში „პირამიდული კვიპაროზის“ სახელია.

⁴ ქართლურში უწოდებენ „ქრისტეს ცრემლებს“.

ვენერას თმა	Adiantum capillus- Veneris	волосы Венеры	Venushaar
ვენერას ქოში	Cypripedium calceolus	Венерин башмачок, адамова трава, кукушкины сапожки	Venusshuh

მცენარეთა ქართული, რუსული და გერმანული სახელების შეპირისპირებისას მჟღავნდება როგორც მსგავსება, ისე განსხვავებაც. უფრო იშვიათად გვხვდება ერთგვარი ან ძალზე მსგავსი სახელწოდება (ზოგჯერ ქართულ სახელთან ან მის დიალექტურ სინონიმთან მსგავსება ვლინდება მხოლოდ რუსულთან, ზოგჯერ – გერმანულთან), თუმცა მსგავსება უფრო მეტად დასტურდება გერმანულ და რუსულ დასახელებებთან შორის, რაც განპირობებული უნდა იყოს ამ ენათა გენეალოგიური და ტიპოლოგიური სიახლოვით.

როგორც ვხედავთ, არამონათესავე ენებში მცენარეთა სახელების შეპირისპირება ცხადყოფს, რა არსებითი ამა თუ იმ ხალხისთვის სახელდებისას: გავრცელების ადგილი, მცენარის ფერი, ფორმა, გემო, სხვა რომელიმე ნიშანი თუ ზემოქმედების უნარი. ძნელი ასახსნელია, რატომა სახელდების პრინციპად შერჩეული ესა თუ ის საშუალება მოცემულ შემთხვევაში. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ ერთი ენის სხვადასხვა დიალექტშიც კი დიდია სხვაობა, რაც მოწმობს ადამიანის წარმოსახვის სიმდიდრეს, დაკვირვებულობას, მეტაფორული გააზრების უნარს, აღქმის განსხვავებულობას. ცხადია, თუკი მცენარე ენდემურია, მას კილოებში მრავალი სინონიმი აქვს, მაგრამ არაენდემური (კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში უცხო) მცენარისთვის ხშირად სახელი ნასესხებია ლათინურიდან, ხანაც კალკირებული თარგმანია.

ძირითადად, მცენარეთა სახელდების პრინციპები ქართულ ენაში არ განსხვავდება რუსულისა და გერმანულისაგან, ზოგჯერ კი მათთან მსგავსებასაც ამჟღავნებს.

ლიტერატურა

ბროკჰაუზი, ევფრონი, 2012 – Брокгауз, Евфрон, Энциклопедический словарь, 2012: <http://slovar.cc/enc/brokhauz-efron2/1890653>.

ეთნობოტ. 2010 – Этноботаника: растения в языке и культуре (Отв. ред. В.Б.Колосова, А. Б. Ипполитова), СПб.: Изд-во «Наука», 2010. – 386с.

ივანიშვილი, 2014 – მ. ივანიშვილი, მცენარეთა სახელები ქართველურში, თბილისი: გამომც. „ნეკერი“, 2014. – 250.

ირიცკუხოვა, 2013 – ნ. ირიცკუხოვა, მოტივაცია სახელდების პროცესში: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2013.

კუზნეცოვა, 2009 – Кузнецова Е.Л., Отражение лечебных свойств лекарственных растений во внутренней форм к русским диалектных и литературных номинаций: Веснік БДУ, Сер. 4, 2009, No3. 60.

ლელ, 1990 – Лингвистический энциклопедический словарь. – М.: СЭ, 1990. – С. 336 – 337.

ა. მაყაშვილია, 1961 – ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, მცენარეთა სახელწოდებანი, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1961. – 260გვ.

ზ. მაყაშვილი, 1996 – ზ. მაყაშვილი, მცენარეთა სახელდება (რედ.: ნ. რატიანი), თბილისი: მეცნიერება, 1996. – 176გვ.

მ. მაყაშვილი, 2011 – მ. მაყაშვილი, მცენარეთა სახელდება ქართულ ენაზე: ჟურნ. „სემიოტიკა“, 2011, №9, გვ. 123-127.

მაჭავარიანი, 2004 – ნ. მაჭავარიანი, მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში (სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი): სადოქტ. დისერტაცია, თბილისი, 2004. – 230გვ.

სერებრენიკოვი... 1977 – Серебренников Б.А., Уфимцева А.А., Серебренников Б.А., Уфимцева А.А., Языковая номинация (виды наименований), – М.: Наука, 1977. – 356 с.

შუმბასოვა, 2011 – Шумбасова С.С., Английские флоронимы: Способы номинации и классификации: Вестник МГГУ им. М.А. Шолохова. Филологические науки, 2011, №3: <http://cyberleninka.ru/article/n/angliyskie-floronimy-sposoby-nominatsii-i-klassifikatsii>

ხოჭოლავა, 2006 – ნ. ხოჭოლავა, მცენარეთა სახელდება ქართულში: საკანდ. დისერტაცია, თბილისი, 2006. – 189გვ.

ჯორბენაძე, 1990 – ბ. ჯორბენაძე, მცენარეთა სახელდების პრინციპისათვის ქართული ენის დიალექტებში: იკე, XXIX, თბილისი, 1990, გვ.84-93.

ჯორბენაძე, 1997 – ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა (რედ.: გიორგი გოგოლაშვილი), თბილისი, 1997. – 204გვ.

ინტერნეტრესურსები:

<http://bogard.isu.ru/herb/herb.files/page0002.htm>

<http://dic.academic.ru/dic.nsf/ruwiki/665019>

<http://samkurnalomcenare.blogspot.com/>

<http://www.pro-landshaft.ru/plants/catalog/>

http://www.bio-gaertner.de/Pflanzenindex_botanisch

Rusudan Zekalashvili

To the Structure and Nomination of the Phytonyms in Georgian

(As compared with Russian and German languages)

Summary

The names of the plants compose one of the oldest linguistic stratum and it provides very interesting material for contrastive linguistic researches. Nomination of the phytonyms is closely tied to the means of the word derivation and composition. One- or two-component, simple, derivated or compound words are evident among the main derivation models of the phytonyms in Georgian. Derivative suffix **-ა** (*a*) prevails: **angeloza** (angelica), **boloka** (small cabbage white), **kelaptara** (broomrape). It occurs in combination with other suffixes: **baqagura** (Saint-Mary-thistle), **bolokura** (wild radish), **santela** (cow-wheat); Suffix **-ა** as a connector in the compound words: **didgula** (bourtree), **tetrqvavila** (snowdrop), **batknisqura** (catchweed), **gveliskovza** (swallow-wort). Two-component syntagmas are also frequent in Georgian: datvis **kenkra** (bear's ear), **irmis-rka** (crape myrtle, lendia), **zaylisena** (hound's-tongue)... **šavi askili** (Rosa eglanteria), **tetri gogra** (white squash), **çiteli gvirila** (pink camomile), **samkurnalo salbi** (garden sage), **evropuli abrešuma** (european dodder). As for the phytonyms in Russian here simple-stem nouns and word-compositions are common, and in German we meet abundance of the composites with transparent motivation.

Attitude to the given object or phenomenon is reflected in its nomination which results in creation of the “*Linguistic picture of the world*”. The means of nomination of the phytonyms in Georgian, Russian and German are similar to other languages, i.e. derivation, composing and semantic shifting.

There are several notable works on the subject of the Georgian phytonyms (B. Jorbenadze, N. Khocholava, M. Ivanishvili, M. Makashvili...) but they do not concern the contrastive analysis of this issue in the unrelated languages.

Observing the phytonyms reveals that in Georgian, Russian and German different means are used to nominate the same phytonyms though the general principles are common. A specific choice depends on the perceptions of the nominator – what resemblance they see with other objects, natural phenomenon or creature. Traditions, beliefs and mythological images also matter.

We distinguish some groups among the means of nomination of the phytonyms:

I. Nomination according to the **area of the plants expansion;**

II. Nomination according to the **physical features of the plants:** a) color; b) form (or other features);

III. Nomination according to the **resemblance with birds, animals or insects;**

IV. Nomination according to the **physiological characteristics of the plants:** a) taste; b) curative abilities or some impact;

V. Nomination according to the **metaphoric resemblance.**

Comparing the names of the plants contrastively in Georgian, Russian and German languages shows that there are much more difference than resemblance in the structure and the means of nominations alike.